amaze

განათლება ადამიანის სექსუალობის შესახებ- გაკვეთილის გეგმა AMAZE ანიმაციური ვიდეო რესურსების გამოყენებით

საგაკვეთილო გეგმები თარგმნილია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების რესურსიდან და ადაპტირებულია ასოციაცია HERA XXI-ის მიერ

როგორ ვიქცეთ

ლგბტქია პირების მოკავშირეებად

HERA XXI amaze Advocates for Youth Rights. Respect. Responsibility. unesco UNFPA

გაკვეთილის შესახებ...

წინამდებარე გაკვეთილის გეგმა ერთ-ერთია იმ ნაკრებიდან, რომელიც მოიცავს ცხრა ინდივიდუალურ გაკვეთილის გეგმას, და რომელიც განკუთვნილია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სკოლებსა ან არასასკოლო გარემოში ადამიანის სექსუალობის შესახებ ყოვლისმომცველი განათლების მიწოდების მხარდასაჭერად. წინამდებარე გაკვეთილის გეგმები ითვალისწინებს „AMAZE"-ის მიერ შექმნილი და გაკვეთილის გეგმასა და თემასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო ვიდეოების გამოყენებას; გარდა ამისა, შესაძლებელია მოცემული მასალების ჩართვა ადამიანის სექსუალობის შესახებ ყოვლისმომცველი განათლების ფარგლებში დამტკიცებულ გაკვეთილის გეგმებში ან მათი გამოყენება დამატებითი რესურსების სახით.

საუკეთესო შემთხვევაში, ადამიანის სექსუალობის შესახებ ყოვლისმომცველი განათლების სფეროში ნებისმიერი კონკრეტული თემის შესწავლა მოსწავლეებს შეძენილი ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების განვითარების, გამოყენებისა და პრაქტიკაში დანერგვის შესაძლებლობას აძლევს. წინამდებარე გაკვეთილის გეგმები ნიმუშის ფორმით არის შედგენილი და სწავლის მხოლოდ რამდენიმე ძირითად შედეგს მოიცავს, რადგან ჩვენ ვაცნობიერებთ და ვაღიარებთ, რომ ერთი გაკვეთილი ხშირად არ არის საკმარისი სწავლის რომელიმე შედეგის მისაღწევად ან ერთზე მეტი სასწავლო სფეროს მოსაცავად. რეკომენდებულია მასწავლებლებმა დაგეგმონ და ჩაატარონ დამატებითი გაკვეთილები, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს ადამიანის სექსუალობის შესახებ ყოვლისმომცველი განათლების უზრუნველსაყოფად შემუშავებული მოცემული გაკვეთილების ფარგლებში დამუშავებული თემების განმტკიცება და სწავლის დასახული შედეგების სრულყოფილი მიღწევა. ამ მიზნით მათ შეუძლიათ ისარგებლონ როგორც საკლასო ასევე არასაკლასო გარემოში არსებული შესაძლებლობებით, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს უკეთ გააცნობიერონ მათი დამოკიდებულებები და დახვეწონ და პრაქტიკაში დანერგონ შეძენილი უნარები.

amaze

როგორ ვიქცეთ ლგბტქია პირების მოკავშირედ

amaze განათლება ადამიანის სექსუალობის შესახებ გაკვეთილის გეგმა

ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების საერთაშორისო ტექნიკური სახელმძღვანელო

ძრითადი ცნება 1: ურთიერთობები

- თემა 1.3: შემწყნარებლობა, ინკლუზია და პატივისცემა
  ასაკობრივი ჯგუფი: 9-12

ძრითადი ცნება 5: ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად საჭირო უნარები

- თემა 5.1: სექსუალური ქცევის ნორმები და თანატოლთა ზეგავლენა სექსუალურ ქცევაზე
  ასაკობრივი ჯგუფი: 9-12

წინაპირობა

მოსწავლეები ერთმანეთისგან განასხვავებენ სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობას, იციან როგორ იშიფრება ლგბტქია+ და იზიარებენ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ყველა ადამიანი განსაკუთრებულია და მათდამი მოპყრობა უნდა ეფუძნებოდეს მათი ღირსების აღიარებასა და მათდამი პატივისცემას

სამიზნე ასაკობრივი ჯგუფი

მე-7-9 კლასის მოსწავლეები (ასაკი 12-14 წელი)

გაკვეთილის ხანგრძლივობა

45 წუთი

გაკვეთილისთვის მზადება:

- ასოციაცია „HERA XXI"-ის YouTube არხზე მოიძიეთ AMAZE-ს ვიდეომასალა სახელწოდებით „რას ნიშნავს სექსუალური ორიენტაცია?" რათა გაეცნოთ მის შინაარსს და დარწმუნდეთ, რომ კომფორტულად იგრძნობთ თავს კლასში მოსწავლეებისათვის მისი ჩვენებისას
- წინასწარ ჩართეთ ვიდეო „YouTube"-ზე და ნახეთ იგი სრულად, რათა დარწმუნდეთ, რომ იგი მზადაა გაკვეთილის მსვლელობისას ჩვენებისათვის, ხარვეზებისა და რეკლამების გარეშე, ან ჩამოტვირთეთ ვიდეო გაკვეთილის მსვლელობისას მისი გამოყენებისათვის. შეგიძლიათ ისარგებლოთ „YouTube"-ზე ვიდეოს ჩვენების სიჩქარის რეგულირების ფუნქციით, თქვენი მოსწავლეების საჭიროებებზე მისი მაქსიმალურად მორგების მიზნით

საჭირო მასალები:

- ინტერნეტთან დაკავშირებული კომპიუტერი და ხმის გამაძლიერებელი
- LCD პროექტორი და ეკრანი
- ვიდეოს ბმული: https://youtu.be/XPw_-DepXdg?si=G1w0fGEQRUALHieh
- დაფა და ცარცი
- სუფთა ფურცლები ან ბარათები მოსწავლეებისათვის, ჩანაწერების გასაკეთებლად

სწავლის ამოცანები:

გაკვეთილის შემდეგ მოსწავლეები შეძლებენ:

1. **განმარტონ რას ნიშნავს ლგბტქია+ პირების მოკავშირეობა.** (ცოდნა)
2. **გააცნობიერონ ლგბტქია+ პირების მოკავშირეობის მნიშვნელობა.** (დამოკიდებულება)
3. **აღწერონ სულ მცირე ორი გზა, რომლითაც შესაძლებელია ლგბტქია+ პირების მოკავშირეობის დადასტურება.** (ცოდნა)

* შენიშვნა მასწავლებლებისთვის: გაკვეთილის თემა შესაძლებელია გამოწვევას წარმოადგენდეს ზოგიერთი მოსწავლისთვის და, ამიტომ, მნიშვნელოვანია წინასწარ განსაზღვროთ მათი რეაქციები. ზოგიერთი მოსწავლე შესაძლოა არასათანადო მოპყრობის მსხვერპლს წარმოადგენდეს, ზოგიერთი შესაძლოა თავად ავლენდეს არასათანადო მოპყრობას სხვების მიმართ და ზოგიც შეიძლება არასათანადო მოპყრობის თანამონაწილე იყოს. ყურადღება გაამახვილეთ ადამიანების მიმართ სათანადოდ მოპყრობის დადებით მხარეებზე და არ მისცეთ საშუალება მოსწავლეებს დაასახელონ, დაადანაშაულონ ან შეარცხვინონ თანატოლები. ეს შეიძლება მოიცავდეს იმ მოსწავლეებისათვის საუბრის შეწყვეტინებას, ვინც იწყებს თხრობას იმის შესახებ, თუ რა გააკეთეს მისმა თანაკლასელებმა ან როგორ მოიქცნენ ისინი. მიაწოდეთ მოსწავლეებს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მათ, ვისაც სურთ განაცხადონ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესახებ, შეუძლიათ ამის შესახებ განაცხადონ თქვენთან პირისპირ საუბრისას, გაკვეთილის დასრულების შემდეგ.

amaze *განათლება ადამიანის სექსუალობის შესახებ*

გაკვეთილის გეგმა

გაკვეთილის მსვლელობა:

ეტაპი 1

უთხარით მოსწავლეებს, რომ აპირებთ ისაუბროთ იმაზე, თუ როგორ არის შესაძლებელი ადამიანის დახმარება, როდესაც მათ მიმართ ვინმე არაკეთილგანწყობას იჩენს, ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორ არის შესაძლებელი გახდეთ მათი მოკავშირე, ამ შემთხვევაში ლგბტქია+ ადამიანების მოკავშირე. დაურიგეთ მოსწავლეებს ორ-ორი ბარათი.

სთხოვეთ მათ რამდენიმე წუთით დაფიქრდნენ იმ მომენტზე, როდესაც გრძნობდნენ, რომ ვიღაც მათ მიმართ არაკეთილგანწყობას იჩენდა ან არასათანადოდ ეპყრობოდა, და იყო თუ არა ეს მოპყრობა განპირობებული მათი სქესით, გენდერით, ასაკით, შესაძლებლობით, ეთნიკური წარმომავლობით, რელიგიური კუთვნილებით, ოჯახის ეკონომიკური სტატუსით, ან მათი სექსუალური ორიენტაციითა ან გენდერული იდენტობით.

სთხოვეთ მათ კიდევ რამდენიმე წუთით დაფიქრდნენ იმაზე, რა თქვეს ან მოიმოქმედეს არაკეთილმოსურნეებმა მათი მისამართით და რას გრძნობდნენ და განიცდიდნენ ისინი და როგორი იყო მათი რეაგირება ამგვარ მოპყრობაზე, თუ საერთოდ ჰქონდა ადგილი რეაგირებას.

შემდეგ, ჰკითხეთ მოსწავლეებს: „რა სიტყვას გამოიყენებდით თქვენი გრძნობის ან განცდის აღსაწერად? სთხოვეთ, დაწერონ ეს ერთი სიტყვა მათ ერთ-ერთ ბარათზე. ამასობაში, თქვენ დაფაზე დაწერეთ „როცა არასათანადოდ მექცევიან, ვგრძნობ, რომ ვარ…“.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები ბარათებზე საკუთარი განცდის შესაბამის სიტყვას დაწერენ, შეაგროვეთ ისინი, აურიეთ და გადაანაწილეთ კლასში. სთხოვეთ თითოეულ მოსწავლეს დაფასთან გამოვიდნენ და დაფაზე, თქვენ მიერ დაწყებული ფრაზა დაასრულონ სიტყვით, რომელიც მათ ბარათზეა დაწერილი. თუ მოსწავლეებს არ სურთ ამ სიტყვის გამჟღავნება, ან თუ მხოლოდ ერთი ან ორი მოსწავლე გამოთქვამს ამ აქტივობაში მონაწილეობის სურვილს, თავად დაამატეთ რამდენიმე სიტყვა, შემდეგნაირად: „მე მინახავს ადამიანები, რომლებსაც არსათანადოდ ეპყრობიან და ისინი ამბობენ, რომ გრძნობენ, რომ არიან:

- სევდიანი
- არასრულფასოვანი
- უხილავი
- უღირსი
- სულელი
- უძლური
- გაბრაზებული
- ნაწყენი

ახლა, სთხოვეთ მოსწავლეებს დაფიქრდნენ იმაზე, შეუმსუბუქებდა თუ არა ამ განცდებს ისეთი მეგობრის ან ადამიანის თანადგომა, რომელსაც ისინი ენდობიან. ჰკითხეთ მათ: „აღმოჩენილხართ ოდესმე სიტუაციაში, როცა არასათანადოდ გეპყრობოდნენ და სხვა ადამიანი თქვენს დაცვას შეეცადა? რა გააკეთა მან? რა განცდა დაგეუფლათ, როდესაც ამ ადამიანის მხარდაჭერა იგრძენით?”

amaze *განათლება ადამიანის სექსუალობის შესახებ*
გაკვეთილის გეგმა

სთხოვეთ მათ დაწერონ ერთი სიტყვა მეორე ბარათზე, რომელიც აღწერს თუ რას გრძნობდნენ და განიცდიდნენ ისინი მხარდაჭერის მიღებისას. ვიდრე მოსწავლეები საკუთარი განცდის შესაბამის სიტყვებზე ფიქრობენ, დაფაზე დაწერეთ „როცა რთულ სიტუაციაში ვინმე მეხმარება, ვგრძნობ, რომ ვარ…“. მას შემდეგ რაც მოსწავლეები ბარათებზე საკუთარი განცდის შესაბამის სიტყვას დაწერენ, შეაგროვეთ ისინი, აურიეთ და გადაანაწილეთ კლასში. სთხოვეთ თითოეულ მოსწავლეს დაფასთან გამოვიდნენ და დაფაზე, თქვენ მიერ დაწყებული ფრაზა დაასრულონ სიტყვით, რომელიც მათ ბარათზეა დაწერილი. თუ მოსწავლეებს არ სურთ ამ სიტყვის გამჟღავნება, ან თუ მხოლოდ ერთი ან ორი მოსწავლე გამოთქვამს ამ აქტივობაში მონაწილეობის სურვილს, თავად დაამატეთ რამდენიმე სიტყვა, შემდეგნაირად: „მე მინახავს ადამიანები, რომლებსაც სხვები ეხმარებიან და ისინი ამბობენ, რომ გრძნობენ, რომ არიან:

- კარგად
- მადლიერი
- მზრუნველობის ქვეშ
- ბედნიერი
- ძლიერი
- ენერგიული
- მხნე

მას შემდეგ, რაც ყველა სიტყვას დაფაზე დაიტანთ, განიხილეთ ორივე ჩამონათვალი და დაეხმარეთ მოსწავლეებს მათ გააზრებაში, შემდეგი კითხვების დასმით:

- როგორ იგრძენით თავი იმ სიტყვების ძიებისას, რომლებიც აღწერდა თქვენს განცდებს, რომელიც დაგუფლებიათ, როდესაც არასათანადოდ გეპყრობოდნენ და როდესაც ვინმე თქვენს დახმარებას ცდილობდა?
- რას ამჩნევთ იმ სიტყვებში, რომლებიც ამ ორ კითხვაზე პასუხის გაცემისას მოიფიქრეთ?
- როგორ ფიქრობთ, რატომ არის მნიშვნელოვანი მხარი დაუჭიროთ ადამიანს, რომელსაც არასათანადოდ ექცევიან ან აბუჩად იგდებენ?
- რისი გაკეთება შეგიძლიათ სიტუაციაში, სადაც ვინმეს, ვისთან ერთადაც ხართ, არასათანადოდ ექცევიან?

(20 წუთი)

ეტაპი 2

შემდეგ, განუმარტეთ მოსწავლეებს, რომ როდესაც ადამიანი რაიმე ზომებს მიმართავს სხვის დასახმარებლად, იგი მისი მოკავშირეა (მაგალითად მოიყვანეთ მოსწავლეების მიერ ბოლო კითხვაზე გაცემული პასუხები) და რომ ლგბტქია+ პირების მოკავშირე, როგორც წესი, არის ის, ვინც თავად არ არის ლგბტქია+ პირი, და რომელიც თანადგომასა და მხარდაჭერას უცხადებს ლგბტქია+ ადამიანებს. ზოგჯერ ლგბტქია+ ადამიანები არასათანადო მოპყრობის სამიზნე შეიძლება აღმოჩნდნენ, მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის გამო, რაც არასწორი და საზიანოა, და როდესაც სხვები მათ მხარდაჭერას უცხადებენ, ეს არა მხოლოდ ხელს უწყობს იმას, რომ ყველამ თავი უკეთესად იგრძნოს, არამედ ამხნევებს სხვებსაც იგივენაირად მოიქცნენ.

amaze *განათლება ადამიანის სექსუალობის შესახებ*

გაკვეთილის გეგმა

შენიშვნა მასწავლებლებისათვის: მოსწავლეებმა შეიძლება გააჟღერონ, რომ ზოგჯერ ადამიანები, რომლებიც აღიქმებიან ლგბტქია+ პირებად, მაგრამ რომლებიც არ არიან ლგბტქია+ პირები, შეიძლება არასათანადო მოპყრობის ან დაშინების სამიზნე იყვნენ - ამ შემთხვევაში მკაფიოდ აღნიშნეთ, რომ ეს ქცევა, ასევე, არასწორი და საზიანოა.

უთხარით მოსწავლეებს, რომ მოკავშირეობის გზების შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, აპირებთ მათ აჩვენოთ ასოციაცია ,,HERA XXI"-ის მიერ ნათარგმნი და ადაპტირებული AMAZE-ს ორწუთიანი ვიდეო, სახელწოდებით: „რას ნიშნავს სექსუალური ორიენტაცია"

https://youtu.be/XPw_-DepXdg?si=x6Bz_l22fCrmJczW *(5 წუთი)*

ეტაპი 3

ვიდეოს ჩვენების შემდეგ, სთხოვეთ მოსწავლეებს დაფიქრდნენ, და უპასუხონ ქვემოთ მოცემულ კითხვებს; ბოლო ორ კითხვაზე მოსწავლეთა პასუხები ჩაწერეთ დაფაზე.

- რას ფიქრობთ ვიდეოზე?
- რას ნიშნავს იყო ლგბტქია+ მოკავშირე?
- რა გზით შეიძლება ვიქცეთ ლგბტქია+ მოკავშირედ?
- შეგიძლიათ დაასახელოთ სხვა გზები, რომლებითაც შესაძლებელია ლგბტქია+ ადამიანების მხარდაჭერა?

შენიშვნა მასწავლებლებისათვის: თუ მოსწავლეები იყენებენ შეუსაბამო ან უცენზურო ლექსიკასა ან იუმორს, რომელიც ლგბტქია+ პირების სტიგმატიზაციას უკავშირდება, საჭიროა მათი შეჩერება; სთხოვეთ მოსწავლეებს შეწყვიტონ ამგვარი საუბარი და აუხსენით მათ, რომ ასეთი მეტყველება მიუღებელი და ზიანის მომტანია, და

მოსწავლეების პასუხებიდან გამომდინარე, აუცილებლად ხაზგასმით აღნიშნეთ შემდეგი:

- აგრძნობინეთ თქვენს ლგბტქია+ მეგობრებს და ახლობლებს, რომ თქვენ მზად ხართ მოუსმინოთ მათ, თუ მათ სურთ თქვენთან საუბარი
- დაიცავით პირები, რომელთა მიმართაც არასათანადო მოპყრობასა და ჩაგვარს აქვს ადგილი, მათი სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის გამო, მაგალითად, თქვით: „ნამდვილად უხერხულად ვგრძნობ თავს, როცა ცუდად საუბრობთ ლგბტქია+ ადამიანებზე".
- გაწევრიანდით კლუბში, ჯგუფში ან ორგანიზაციაში, რომელიც მხარს უჭერს ლგბტქია+ ადამიანებს.

(15 *წუთი*)

ასოციაცია ,,HERA XXI"-ის მიერ ნათარგმნი AMAZE-ს თემატური ვიდეოები
სომხურ ენაზე:https://youtu.be/4OzTi0v-9Hw?si=cV9sFbVtUff6pM5l
აზერბაიჯანულ ენაზე:https://youtu.be/2yYkdlPRMoE?si=E_pzLz41rlBUpQbO

amaze *განათლება ადამიანის სექსუალობის შესახებ*
გაკვეთილის გეგმა

ეტაპი 4

გაკვეთილის დასასრულს, აღნიშნეთ, რომ „ადამიანების უმეტესობას აქვს ამა თუ იმ მიზეზით მათდამი არაკეთილგანწყობის გამოხატვის გამოცდილება. ლგბტქია+ ადამიანების შემთხვევაში ამგვარი დამოკიდებულება კიდევ უფრო ხშირი და მძაფრია, მხოლოდ და მხოლოდ მათი სექსუალური ორიენტაციისა ან გენდერული იდენტობის გამო. იმედისმომცემია ის, რომ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გახდეს ლგბტქია+ მოკავშირე, ლგბტქია+ ადამიანების დახმარებითა და მხარდაჭერით. გაკვეთილის დასრულებამდე, ამოიღეთ ფურცელი და დაწერეთ თქვენი სიტყვებით - რას ნიშნავს იყო ლგბტქია+ მოკავშირე. წარმოადგინეთ თქვენი ნაშრომები კლასიდან გასვლისას“.

(5 წუთი)

შენიშვნა მასწავლებლებისათვის: მოცემული გაკვეთილის მსვლელობისას, შეგიძლიათ გამოიყენოთ ანონიმური კითხვების ყუთი, რადგან მოსწავლეებს შეიძლება გაუჩნდეთ კითხვები სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ, რადგან ამ თემას ისინი პირველად ეხებიან, და ამ კითხვების დასმა მოერიდოთ სხვების წინაშე.

ძირითადი დასკვნები:

- ზოგჯერ ადამიანები შეიძლება სხვების მიმართ არაკეთილგანწყობილი იყვნენ მხოლოდ მათი ასაკის, სქესის, ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიური კუთვნილების, შესაძლებლობების ან მათი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გამო.

- ლგბტქია+ ადამიანების შემთხვევაში, არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება კიდევ უფრო ხშირი და მძაფრია, მხოლოდ და მხოლოდ მათი სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის გამო.

- ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გახდეს ლგბტქია+ მოკავშირე, სხვადასხვა გზით საკუთარი მხარდაჭერის გამხატვით, მაგალითად, მათთვის მოსმენის შეთავაზებით, ან მათი დაცვით, იმ შემთხვევაში, თუ ვინმე მათდამი არაკეთილგანწყობას ავლენს.

სწავლის ამოცანების მიღწევის შეფასება გაკვეთილის დასრულების შემდგომ:

კლასში ჩატარებული თითოეული აქტივობა მიზნად ისახავს თემის შინაარსის გაცნობასა და განმტკიცებას. ვიდეოს ჩვენების შემდგომ გამართული დისკუსია, ისევე როგორც გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეების მიერ ფურცლებზე ასახული პასუხები დაეხმარება მასწავლებელს, დაადგინოს, რამდენად გააცნობიერეს მოსწავლეებმა, რას ნიშნავს იყო ლგბტქია+ მოკავშირე.

amaze *განათლება ადამიანის სექსუალობის შესახებ გაკვეთილის გეგმა*

დისტანციურად ჩატარებისთვის გაკვეთილის ადაპტირებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები

გაკვეთილის დისტანციურად ჩატარებისთვის შეგიძლიათ ისარგებლოთ შემდეგი ციფრული პლატფორმებით: Google Classroom ან Zoom. ჩანაწერებისათვის განკუთვნილი ბარათების ნაცვლად, შეგიძლიათ ისარგებლოთ ინსტრუმენტით - Jamboard, რომელიც მოსწავლეთა ანონიმურობას უზრუნველყოფს, და ბარათების ერთმანეთში არევის ალტერნატივას წარმოადგენს, რა დროსაც მოსწავლეები საკუთარ პასუხებს დაიტანენ Jamboard-ის ორივე მხარეს დაწერილი ორი კითხვის პასუხად. Jamboard-ის ორივე მხარეს დაწერილი მოსწავლეების პასუხები წაიკითხეთ ხმამაღლა ან სთხოვეთ მოხალისეს ხმამათლა წაიკითხოს მოსწავლეთა პასუხები, რომ დასრულების შემდეგ ხმამაღლა წაიკითხოს სიტყვები თითოეულ მხარეს. ალტერნატივის სახით, მოსწავლეთა პასუხები შეგიძლიათ ჩამოწერეთ ვირტუალურ დაფაზე.

საშინაო დავალება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მოსწავლეებს არ ეძლევათ საშინაო დავალება

სასარგებლო მასალა:

- გენდერი და გენდერული თანასწორობა-http://forparents.ge/informacia-temis-mixedvi/genderi-da-genderuli-tan/
- ყველაფერი ერთ სასწავლო კურსში I ნაწილი- https://hera-youth.ge/wp-content/uploads/2017/12/A4-New.pdf

ადაპტირებული, წყარო: დ რაისი, „რა დანიშნულება აქვს მოკავშირეს“. AMAZE. ლგბტქ - საგაკვეთილო ინსტრუმენტთა ნაკრები „რა დანიშნულება აქვს მოკავშირეს“. „Advocates for Youth“ - უფლებები, პატივისცემა, პასუხისმგებლობა: 12 წლიანი სასკოლო განათლების სასწავლო გეგმა; იყავი ცვლილების ინიციატორი. ADL. ჰომოფობია/ჰეტეროსექსიზმი და როგორ გავხდეთ მოკავშირე. იუნესკო და სხვ. ურთიერთობის დამყარება პატივისცემის საფუძველზე. გენდერული ნიშნით ძალადობის შედეგები.

ქართულ ენაზე ადაპტირებულია ასოციაცია HERA XXI- ის მიერ.